**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ირემაძე გიგლა აკაკის ძე

ირემაძე გიგლა აკაკის ძე (19. IV. 1960, სოფ. ლიხაური, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 13. VIII. 2004, თბილისი), გენერალ-მაიორი (2001), ვიცე-ადმირალი (2003), ადმირალი (2004, სიკვდილის შემდეგ).

დაამთავრა საქართვ. თავდაცვის სამინისტროს სამხ. აკადემია (1997), უკრაინის სამხ. აკადემია (2000), საბერძნეთის საზღვაო ომის კოლეჯი (2004). სახმელეთო ჯარების დაზვერვის უფროსი (1997). 1997–98 იყო საზღვაო ქვეითი ბატალიონის მეთაური, 1998–2001 – სამხ.-საზღვ. ფლოტის სარდლის მოადგილე სანაპირო დაცვაში, 2001–04 საქართვ. თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალების უფროსი.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (1997) და II ხარისხის ორდენებით (2002).

***ლ. დოლიძე***